

თანმდები დოკუმენტაციის ნუსხა

- 1.1 პოტენციური ბენეფიციარის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- 1.2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)
- 1.3 იურიდიული პირის შემთხვევაში დირექტორის / კოოპერატივის თავმჯდომარის (კოოპერატივის შემთხვევაში) პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი;
- 1.4 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის და ინდ. მეწარმის შემთხვევაში)
- 1.5 სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოქმედი სტატუსის შესახებ (კოოპერატივის შემთხვევაში);
- 1.6 ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების კრების ოქმი თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- 1.7 შესასყიდი მიზნობრიობის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე (ტექნიკის იმპორტის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი), რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასახელება, მახასიათებლები (მოდელი, ცხ.ძ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოშვების წელი, ექსპლუატაციაში არ ყოფნის შესახებ სტატუსი, მწარმოებელი ქვეყანა), დანიშნულება (აღწერილი უნდა იყოს თუ რა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება წარმოდგენილი ტექნიკა), მხარეთა რეკვიზიტები, მიწოდების ვადა და გადახდის პირობები
შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ინვოისში მითითებული ინფორმაციიდან, რომელიმე იქნება გამოტოვებული განაცხადი იქნება უარყოფილი და პროცედურების გავლა განმცხადებელს მოუწევს თავიდან.
- 1.8 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგარანტიო დოკუმენტი გაცემული მწარმოებლის ან/და მიმწოდებლის მიერ.
- 1.9 ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ დავალიანების არარსებობის შესახებ;
- 1.10 თანამონაწილეობის თანხის (პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 50%) დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/ საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის/ლიზინგის/ დამტკიცების თაობაზე;
- 1.11 საბანკო რეკვიზიტები;
- 1.12 სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული კომპანიის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტორების რეესტრი იხილეთ ვებ გვერდზე: www.saras.gov.ge

შენიშვნა: პროგრამის ვებ გვერდზე: www.apma.ge გამოქვეყნების თარიღი 26.03.2019 წინ უნდა უსწრებდეს განაცხადის და თანმდები დოკუმენტაციის მომზადების თარიღს.